



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადანყობილობა ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დანახვის შესახებ

379/3

31 აგვისტო, 2020 წელი

საქართველოს კანონის პროექტები: „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (07-3/482; 22.07.2020)

(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვას)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრები:
ლიმბიტი ზუნდაძე, კობა ნაკაიძე, ლიმბიტი მხეიძე

ინიციატორი

საქ. პარლამენტის წევრები:
ლიმბიტი ზუნდაძე, კობა ნაკაიძე, ლიმბიტი მხეიძე

აგენტო

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

22. 07. 2020.

შემოსულის თარიღი

წამყვანი კომიტეტზე - 31.08. - 04.09.
სხვა კომიტეტებზე - 31.08. - 04.09.

საკომიტეტო მოსმენის საგარეულო თარიღი

01.09. - 04.09.

პლენარულ სხდომაზე
განხილვის საგარეულო თარიღი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნა საყვარდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში
დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი კახიანი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№379/3

2020 წელი, 31 აგვისტო

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა (წამყვანი კომიტეტი) და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს, განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ხუნდაძის, კობა ნაკაიძის და დიმიტრი მხეიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/482; 22.07.2020) საქართველოს კანონის პროექტები და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის

მოადგილე,

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი კახიანი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№379/3

2020 წელი, 31 აგვისტო

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ხუნდაძის, კობა ნაკაიძის და დიმიტრი მხეიძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: დიმიტრი ხუნდაძის, კობა ნაკაიძის და დიმიტრი მხეიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/482; 22.07.2020) საქართველოს კანონის პროექტები განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის

მოადგილე,

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

გიორგი კახიანი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 102-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოვადგენთ საქართველოს კანონების პროექტებს: „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ამასთანავე მივგვანხილავ, რომ აღნიშნული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად განხილულ და მიღებულ უნდა იქნეს დაჩქარებული წესით გიხილოთ, წარმოადგენილ პროექტებს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივსაცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრები:

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.



საქართველოს კანონი

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების

შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №51, 31.12.2006, მუხ. 448) 26¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26¹. ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ლეგალიზაცია
1. 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობა და სოციალური პაკეტი ლეგალიზებულად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

2. შეწყდეს ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები ამ მუხლის პირველი პუნქტით ლეგალიზებული საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის დაბრუნების თაობაზე საქმეებზე.

3. 2020 წლის 20 ივლისამდე საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის დაკავებული თანხა, აგრეთვე საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების

შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა.) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, ადმინისტრირებისას ხშირად იკვეთება საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა მხრიდან სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა, რაც გამოწვეულია საარსებო შემწეობის თანხის ზედმეტად დარიცხვითა და გაცემით. 2015 წლიდან შეიცვალა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია და ადმინისტრირების სქემა. სოციალური დახმარების მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებს აქვთ ვალდებულება საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ოჯახში მომხდარი დემოგრაფიული ცვლილების და სხვა მიზეზების შესახებ აცნობონ სოციალური დახმარების ადმინისტრირების ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, თუმცა ისინი ამ ცვლილებების შესახებ არ აცნობებენ სააგენტოს და მას შემდეგ, რაც ადმინისტრირების ორგანოსთვის სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ცნობილი გახდება ამა თუ იმ მიზეზის შესახებ, გატარდება კანონმდებლობით დადგენილი ზომები და ამ ოჯახებს უწევთ უკვე ჩარიცხული საარსებო შემწეობის თანხების უკან დაბრუნება.

გამომდინარე იქიდან, რომ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები ზედმეტად გაცემული თანხების მიუხედავად კვლავ მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან, მათ სასარგებლოდ გაცემული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღება, რაც ძირითადად სასამართლო წესით ხორციელდება, მიზანშეუწონელია და მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენას, იწყება ზედმეტად გაცემული თანხების ამოღების ბენეფიციარისთვის მტკივნეული პროცესი, რომელიც ხშირად დროში გახანგრძლივებული პროცესია და ღარიბი მოსახლეობის მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევს, მათ უწევთ თანხების უკან დაბრუნება, სასამართლო პროცესები და ა.შ. რაც კიდევ უფრო მწვავე პრობლემაა კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

გარდა აღნიშნულისა, სოციალური პაკეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის თანახმად, ბენეფიციარი ვალდებულია აცნობოს სააგენტოს იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს სოციალური პაკეტის გაცემის შეწყვეტა, ამ გარემოების წარმოშობიდან არაუგვიანეს 15 დღისა. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალური პაკეტის შეწყვეტის საფუძვლის (ძირითადად საჯარო საქმიანობის დაწყების დროს და სხვა) წარმოშობის შესახებ ინფორმაციას ბენეფიციარი არ აწვდის სოციალური პაკეტის ადმინისტრირების ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, შესაბამისად, სოციალური პაკეტის შეწყვეტა ხორციელდება დაგვიანებით და იწყება ზედმეტად გაცემული თანხების ამოღების პროცესი, რაც ასევე, ხშირად დროში გახანგრძლივებული პროცესია, იწვევს მოსახლეობის მკვეთრ უკმაყოფილებას და მძიმე ტვირთად აწევს ბენეფიციარს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

გამომდინარე იქიდან, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობის უკან დაბრუნების პირობებს, აუცილებელია ცვლილება შევიდეს ამავე კანონში, რათა მოხდეს 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები

გათავისუფლდნენ სახელმწიფოს მიმართ საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში განხორციელდება ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის თანხების ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლდებიან სახელმწიფოს მიმართ საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან, რაც ღარიბი და მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობა და სოციალური პაკეტი ითვლება ლეგალიზებულად და დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, უკვე დაკავებული თანხები, აგრეთვე საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებების შეწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებასთან.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით, კანონპროექტი არ არის ინიცირებული მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც გამომდინარეობს მისი მიზნის მიღწევის აუცილებელი საჭიროებიდან და კანონპროექტით განსაზღვრული ლეგალიზაციის პერიოდიდან გამომდინარე (2020 წლის 20 ივლისი). კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მისი მოქმედება გავრცელდება 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცედურები წარიმართოს დაჩქარებული წესით, ვინაიდან კანონპროექტით განსაზღვრულია 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ლეგალიზაცია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კანონპროექტი არ იქნება მიღებული დაჩქარებული წესით, გაგრძელდება ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები და ზედმეტად გაცემული თანხების უკან დაბრუნების მტკივნეული პროცესი, რაც თავის მხრივ, მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეებს, განსაკუთრებით მიმდინარე რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების გამოყოფას. გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციართა ნაწილს ზედმეტად გაცემული თანხა ექვითება მიმდინარე გასაცემლიდან, ნაწილს (მათ შორის იმ ოჯახებს/პირებს, რომელთაც შეწყვეტილი აქვთ საარსებო შემწეობის ან სოციალური პაკეტის მიღება) თანხა შეაქვს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შესაძლოა არსებობდეს კომბინირებული მოდელიც, რთულია გაიმიჯნოს ზედმეტად გაცემული დასაქვითი თანხების და ანგარიშზე შესატანი თანხების ოდენობები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს იმ პირთა ფინანსური ვალდებულებების შეწყვეტას სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც ეს ვალდებულება წარმოეშვათ 2020 წლის 20 ივლისამდე პერიოდში საარსებო შემწეობის ზედმეტად (არასწორად) დარიცხვისა და გაცემის გამო. გასაცემლების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე პერიოდისათვის არსებული/მოძიებული მონაცემების მიხედვით კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შედგათი შეეხება სულ 3478 სოციალურად დაუცველ ოჯახს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დასაბრუნებელი საარსებო შემწეობის თანხის ოდენობა შეადგენს - დაახლოებით 658 512 ლარს, მათ შორის 2016 წლის 1 დეკემბრიდან ზედმეტად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა 3456 ოჯახს, ხოლო 2020 წლის იანვრიდან - 22 ოჯახს. რაც შეეხება სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს, სოციალური პაკეტი უკან დასაბრუნებელი არ ექნება 230 ბენეფიციარს, თანხის ოდენობა კი შეადგენს - 69 000-მდე ლარს, მათ შორის იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე წარმოეშვათ ზედმეტად გაცემული სოციალური პაკეტის უკან დაბრუნების ვალდებულება შეადგენს 196 პირს, ხოლო 2020 წლის 1 იანვრიდან - 34 პირს. გამომდინარე იქიდან, რომ შემთხვევების დიდ ნაწილში თანხის შეტანა ხორციელდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე (სხვა შემოსავლები) და თანხების შეტანა ხორციელდება მოქნილი სისტემით, ვუშვებთ, რომ კანონპროექტი დიდწილად გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ამასთან, ლეგალიზაციის პაკეტის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული ინფორმაციით მიმდინარეობს 50 ადმინისტრაციული წარმოება, 1758 სასამართლო წარმოება და 134 სააღსრულებლო წარმოება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი, ასევე ითვალისწინებს იმ ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებების შეწყვეტას რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებასთან, აქედან გამომდინარე შესაბამისი უწყებებს არ მოუწევთ ამ მიმართულებით ხარჯების გაწევა, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შესაბამისი პირები გათავისუფლდებიან ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობის და სოციალური პაკეტის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან, რაც ღარიბი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შედგათი შეეხება სულ 3478 სოციალურად დაუცველ ოჯახს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დასაბრუნებელი საარსებო შემწეობის თანხის ოდენობა შეადგენს - დაახლოებით 658 512 ლარს, ხოლო სოციალური პაკეტი უკან დასაბრუნებელი არ იქნება 230 ბენეფიციარს, თანხის ოდენობა კი შეადგენს - 69 000-მდე ლარს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია ექსპერტებს ან სამუშაო ჯგუფს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ხუნდაძე, კობა ნაკაიძე, დიმიტრი მხეიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ხუნდაძე, კობა ნაკაიძე, დიმიტრი მხეიძე.

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N56, 28.12.2005, მუხ. 390) 24¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24¹. ზედმეტად გაცემული პენსიის ლეგალიზაცია

1. 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული პენსია ლეგალიზებულად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება.
2. შეწყდეს ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები ამ მუხლის პირველი პუნქტით ლეგალიზებული პენსიის დაბრუნების თაობაზე საქმეებზე.
3. 2020 წლის 20 ივლისამდე პენსიიდან დაკავებული თანხა, აგრეთვე პენსიის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა.) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პენსიონერი ვალდებულია პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აცნობოს პენსიის შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის შესახებ ამ საფუძვლის წარმოშობიდან 15 დღის ვადაში. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც პენსიის შეწყვეტის საფუძვლის (ძირითადად პენსიის მარეგულირებელი კანონით გათვალისწინებული საჯარო საქმიანობის დაწყების დროს და სხვა) წარმოშობის შესახებ ინფორმაციას ბენეფიციარი არ აწვდის სააგენტოს, შესაბამისად, პენსიის შეწყვეტა ხორციელდება დაგვიანებით და იწყება ზედმეტად გაცემული თანხების ამოღების ბენეფიციარისთვის მტკივნეული პროცესი, რომელიც ხშირად დროში გახანგრძლივებული პროცესია და ხანდაზმული მოსახლეობის მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევს, მათ უწევთ თანხების უკან დაბრუნება, სასამართლო პროცესები და ა.შ. რაც კიდევ უფრო მწვავე პრობლემაა კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

გარდა ამისა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია პენსიონერის გარდაცვალება და პენსია წყდება ამ საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. კოვიდ-19 გავრცელების პრევენციის ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N184 დადგენილების თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აპრილის თვის პენსია ჩაირიცხა მარტის თვეში. სახელმწიფო გასაცემლების ბაზის თანახმად, 1056 პენსიონერი, რომელმაც მარტის თვეში აიღო აპრილის თვის პენსია გარდაიცვალა, მაშინ როცა კანონმდებლობით მათ აპრილის თვიდან უნდა შეწყვეტოდათ პენსია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ეს თანხებიც დაექვემდებაროს ლეგალიზაციას.

ზედმეტად გაცემული თანხების დაბრუნება ხორციელდება შემდეგი პრინციპით: ადმინისტრირების ორგანოს მონაცემთა ბაზაზე და მომსახურე ბანკიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზედმეტად მიღებული თანხის ბიუჯეტში აღდგენის თაობაზე წერილი იგზავნება მოქალაქესთან (გარდაცვალების შემთხვევაში მის მემკვიდრესთან), თუ მოქალაქე (მემკვიდრე) თანახმაა თანხის ბიუჯეტში აღდგენაზე, აღნიშნული დასტურდება წერილობით და თანხის დაბრუნება ხდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, რაც თავის მხრივ, დასტურდება საგადახდო დავალების წარმოდგენით ან გასაცემლიდან თანხის 20%-ის ოდენობით დაქვითვით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე (მემკვიდრე) უარს აცხადებს თანხის დაბრუნებაზე, საქმე იგზავნება სასამართლოში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

გამომდინარე იქიდან, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს ზედმეტად გაცემული პენსიის უკან დაბრუნების პირობებს, აუცილებელია ცვლილება შევიდეს ამავე კანონში, რათა მოხდეს 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული სახელმწიფო პენსიის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლდნენ

სახელმწიფოს მიმართ პენსიის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში განხორციელდება ზედმეტად გაცემული სახელმწიფო პენსიის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლებიან სახელმწიფოს მიმართ პენსიის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან, რაც პენსიონერების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული პენსია ითვლება ლეგალიზებულად და დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, უკვე დაკავებული თანხები, აგრეთვე პენსიის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებების შეწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებასთან.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით, კანონპროექტი არ არის ინიცირებული მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც გამომდინარეობს მისი მიზნის მიღწევის აუცილებელი საჭიროებიდან და კანონპროექტით განსაზღვრული ლეგალიზაციის პერიოდიდან გამომდინარე (2020 წლის 20 ივლისი). კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მისი მოქმედება გავრცელდება 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცედურები წარიმართოს დაჩქარებული წესით, ვინაიდან კანონპროექტით განსაზღვრულია 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული პენსიის ლეგალიზაცია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კანონპროექტი არ იქნება მიღებული დაჩქარებული წესით, გაგრძელდება ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები და ზედმეტად გაცემული თანხების უკან დაბრუნების მტკიცნეული პროცესი, რაც თავის მხრივ, მძიმე ტვირთად

აწვება მოქალაქეებს, განსაკუთრებით მიმდინარე რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების გამოყოფას. გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციართა ნაწილს ზედმეტად გაცემული თანხა ექვითება მიმდინარე გასაცემლიდან, ნაწილს (მათ შორის იმ პირებს, რომელთაც შეწყვეტილი აქვთ პენსიის მიღება) თანხა შეაქვთ ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შესაძლოა არსებობდეს კობინირებული მოდელიც, რთულია გაიმიჯნოს ზედმეტად გაცემული დასაქვითი თანხების და ანგარიშზე შესატანი თანხების ოდენობები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს იმ პირთა ფინანსური ვალდებულებების შეწყვეტას სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც ეს ვალდებულება წარმოეშვათ 2020 წლის 20 ივლისამდე პერიოდში პენსიის ზედმეტად (არასწორად) დარიცხვისა და გაცემის გამო. გასაცემლების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე პერიოდისათვის არსებული/მოძიებული მონაცემების მიხედვით კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შეღავათი შეეხება 1594 პენსიონერს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შეადგენს - დაახლოებით 727 733 ლარს, მათ შორის იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე წარმოეშვათ ზედმეტად გაცემული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება შეადგენს 747 პირს, ხოლო 2020 წლის 1 იანვრიდან - 847 პირს. გამომდინარე იქიდან, რომ შემთხვევების დიდ ნაწილში თანხის შეტანა ხორციელდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე (სხვა შემოსავლები) და თანხების შეტანა ხორციელდება მოქნილი სისტემით, ვუშვებთ, რომ კანონპროექტი დიდწილად გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ამასთან, ლეგალიზაციის პაკეტის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული ინფორმაციით მიმდინარეობს 50 ადმინისტრაციული წარმოება, 1758 სასამართლო წარმოება და 134 სააღსრულებლო წარმოება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებების შეწყვეტას რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებასთან, აქედან გამომდინარე შესაბამისი უწყებებს არ მოუწევთ ამ მიმართულებით ხარჯების გაწევა, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში განხორციელდება ზედმეტად გაცემული სახელმწიფო პენსიის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლდებიან სახელმწიფოს მიმართ პენსიის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან, რაც პენსიონერების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე პერიოდში პენსიის მიმღებ 1594 პირს აღარ ექნება ზედმეტად გაცემული პენსიის უკან დაბრუნების ვალდებულება, მათ აღარ მოუწევთ თანხების ერთიან სახაზინო ანგარიშზე შეტანა ან თანხა აღარ დაექვითებათ მიმდინარე გასაცემლიდან. მათ შორის 1056 პენსიონერი, რომელსაც აპრილის თვის პენსია ჩაერიცხა მარტის თვეში, გარდაიცვალა მარტის თვეშივე, შესაბამისად, მათი ოჯახის წევრებს/მემკვიდრეებს აღარ მოუწევთ აპრილის თვის პენსიის უკან დაბრუნება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია ექსპერტებს ან სამუშაო ჯგუფს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ხუნდაძე, კობა ნაკაიძე, დიმიტრი მხეიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ხუნდაძე, კობა ნაკაიძე, დიმიტრი მხეიძე.

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N56, 28.12.2005, მუხ. 433) 38¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 38¹. ზედმეტად გაცემული კომპენსაციის ლეგალიზაცია

1. 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული კომპენსაცია ლეგალიზებულად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება.
2. შეწყდეს ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები ამ მუხლის პირველი პუნქტით ლეგალიზებული კომპენსაციის დაბრუნების თაობაზე საქმეებზე.
3. 2020 წლის 20 ივლისამდე კომპენსაციიდან დაკავებული თანხა, აგრეთვე კომპენსაციის ზედმეტად (არასწორად) გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა.) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის მიმღები პირი ვალდებულია კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აცნობოს კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობის შესახებ ამ საფუძვლის წარმოშობიდან 15 დღის ვადაში. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლის (ძირითადად საჯარო საქმიანობა) წარმოშობის შესახებ ინფორმაციას ბენეფიციარი არ აწვდის სააგენტოს, შესაბამისად, კომპენსაციის შეწყვეტა ხორციელდება დაგვიანებით და იწყება ზედმეტად გაცემული თანხების ამოღების ბენეფიციარისთვის მტკივნეული პროცესი, რომელიც ხშირად დროში გახანგრძლივებული პროცესია და ხანდაზმული მოსახლეობის ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების ან მარჩენალდაკარული ოჯახების (კომპენსაციის შემთხვევაში) მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევს, მათ უწევთ თანხების უკან დაბრუნება, სასამართლო პროცესები და ა.შ. რაც კიდევ უფრო მწვავე პრობლემაა კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

ზედმეტად გაცემული თანხების დაბრუნება ხორციელდება შემდეგი პრინციპით: ადმინისტრირების ორგანოს მონაცემთა ბაზაზე და მომსახურე ბანკიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზედმეტად მიღებული თანხის ბიუჯეტში აღდგენის თაობაზე წერილი იგზავნება მოქალაქესთან (გარდაცვალების შემთხვევაში მის მემკვიდრესთან), თუ მოქალაქე (მემკვიდრე) თანახმაა თანხის ბიუჯეტში აღდგენაზე, აღნიშნული დასტურდება წერილობით და თანხის დაბრუნება ხდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, რაც თავის მხრივ, დასტურდება საგადახდო დავალების წარმოდგენით ან გასაცემლიდან თანხის 20%-ის ოდენობით დაქვითვით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოქალაქე (მემკვიდრე) უარს აცხადებს თანხის დაბრუნებაზე, საქმე იგზავნება სასამართლოში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

გამომდინარე იქიდან, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს ზედმეტად გაცემული კომპენსაციის უკან დაბრუნების პირობებს, აუცილებელია ცვლილება შევიდეს ამავე კანონში, რათა მოხდეს 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული სახელმწიფო კომპენსაციის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლდნენ სახელმწიფოს მიმართ კომპენსაციის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში განხორციელდება 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული სახელმწიფო კომპენსაციის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლდებიან სახელმწიფოს მიმართ კომპენსაციის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან, რაც კომპენსაციის მიმღები პირების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად გაცემული კომპენსაცია ითვლება ლეგალიზებულად და დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, უკვე დაკავებული თანხები, აგრეთვე კომპენსაციის ზედმეტად გაცემის გამო შესაბამისი დავალიანების მქონე პირის მიერ ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებების შეწყვეტას, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებასთან.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით, კანონპროექტი არ არის ინიცირებული მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც გამომდინარეობს მისი მიზნის მიღწევის აუცილებელი საჭიროებიდან და კანონპროექტით განსაზღვრული ლეგალიზაციის ვადიდან გამომდინარე (2020 წლის 20 ივლისი). კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მისი მოქმედება გავრცელდება 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცედურები წარიმართოს დაჩქარებული წესით, ვინაიდან კანონპროექტით განსაზღვრულია 2020 წლის 20 ივლისამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული კომპენსაციის ლეგალიზაცია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კანონპროექტი არ იქნება მიღებული დაჩქარებული წესით, გაგრძელდება ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებები და ზედმეტად გაცემული თანხების უკან დაბრუნების მტკიცებულებით პროცესი, რაც თავის მხრივ, მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეებს, განსაკუთრებით მიმდინარე რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების გამოყოფას. გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციართა ნაწილს ზედმეტად გაცემული თანხა ექვითება მიმდინარე გასაცემლიდან, ნაწილს (მათ შორის იმ პირებს, რომელთაც შეწყვეტილი აქვთ კომპენსაციის მიღება) თანხა შეაქვთ ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შესაძლოა არსებობდეს

კომბინირებული მოდელიც, რთულია გაიმიჯნოს ზედმეტად გაცემული დასაქვითი თანხების და ანგარიშზე შესატანი თანხების ოდენობები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს იმ პირთა ფინანსური ვალდებულების შეწყვეტას სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც ეს ვალდებულება წარმოეშვათ 2020 წლის 20 ივლისამდე პერიოდში კომპენსაციის ზედმეტად (არასწორად) დარიცხვისა და გაცემის გამო. გასაცემლების ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოს - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, მიმდინარე პერიოდისათვის არსებული/მოძიებული მონაცემების მიხედვით კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შეღავათი შეეხება 178 კომპენსაციის მიმღებ პირს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შეადგენს - დაახლოებით 85 883 ლარს, მათ შორის იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე წარმოეშვათ ზედმეტად გაცემული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება შეადგენს 132 პირს, ხოლო 2020 წლის 1 იანვრიდან - 46 პირს. გამომდინარე იქიდან, რომ შემთხვევების დიდ ნაწილში თანხის შეტანა ხორციელდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე (სხვა შემოსავლები) და თანხების შეტანა ხორციელდება მოქნილი სისტემით, ვუშვებთ, რომ კანონპროექტი დიდწილად გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ამასთან, ლეგალიზაციის პაკეტის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული ინფორმაციით მიმდინარეობს 50 ადმინისტრაციული წარმოება, 1758 სასამართლო წარმოება და 134 სააღსრულებლო წარმოება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი ითვალისწინებს იმ ადმინისტრაციული, სასამართლო და სააღსრულებო წარმოებების შეწყვეტას რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებასთან, აქედან გამომდინარე შესაბამისი უწყებებს არ მოუწევთ ამ მიმართულებით ხარჯების გაწევა, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში განხორციელდება ზედმეტად გაცემული სახელმწიფო კომპენსაციის ლეგალიზაცია და შესაბამისი პირები გათავისუფლდებიან სახელმწიფოს მიმართ კომპენსაციის ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის გამო წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებისაგან, რაც კომპენსაციის მიმღები პირების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება იქნება კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე. 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 20 ივლისამდე პერიოდში კომპენსაციის მიმღებ 178 პირს აღარ ექნება ზედმეტად გაცემული კომპენსაციის უკან დაბრუნების ვალდებულება, მათ აღარ

მოუწევთ თანხების ერთიან სახაზინო ანგარიშზე შეტანა ან თანხა აღარ დაექვეთვებათ მიმდინარე გასაცემლიდან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალსიწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია ექსპერტებს ან სამუშაო ჯგუფს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ხუნდაძე, კობა ნაკაიძე, დიმიტრი მხეიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დიმიტრი ხუნდაძე, კობა ნაკაიძე, დიმიტრი მხეიძე.